

**პროექტის "რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის  
განვითარებისთვის"**

**2014 წ. 28 იანვარიდან - 1 თებერვლის ჩათვლით,**

**თბილისში, საქართველო**

**განხორციელებული მისიის ანგარიში**

წინამდებარე ანგარიშის ტექნიკური პირობა ითვალისწინებსდასაერთაშორისო საკონსულტაციო სამუშაოს განხორციელებას პროექტის "რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის" ფარგლებში, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის პოლიტიკის შემუშავებას უნდა დათმობოდეს.

მივლინება მიზნად ისახავდა საქართველოს მხრიდან პროექტის წამყვან პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ კი კულტურის სამინისტროს ახლად შექმნილი ფუნქციური დანაყოფის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრას და, გარდა ამისა, ინფორმაციისშეგროვებას მიმდინარე პოლიტიკის შემუშავების პროცესის და კულტურის სამინისტროსა თუ სააგენტოს ცენტრალურიდარეგიონული სტრუქტურების საორგანიზაციო სქემის შესახებ, რომლის პასუხისმგებლობაშიც შედის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონით გათვალისწინებული დებულებების გამხორციელება.

მისიის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის წინასწარი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით წარმოგიდგინებ ანგარიშს, რომელიც გვთავაზობსინფორმაციას ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ასპექტების შესახებ, რომელიც შეიძლებაგახდეს კულტურული და ლანდშაფტური მემკვიდრეობის ეფექტური დაცვისა და განვითარების ქმედითი საფუძველი.

წინამდებარე ანგარიში კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- 1) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მფარველობის ინსტიტუციური ორგანიზაცია და მარეგულირებელი ბაზა იტალიაში;
- 2) დახასიათება
- 3) ეროვნულ დონეზე მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტებისისტორიული მნიშვნელობის ურბანული ცენტრების დაცვისა და შენარჩუნებისთვის;
- 4) ფინანსური წახალისების და საგადასახადო შეღავათებისსისტემა იტალიაში.

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მფარველობის ინსტიტუციური ორგანიზაცია და მარეგულირებელი ჩარჩო იტალიაში**

იტალიაში კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება კონსტიტუციის (მე-9 მუხლის)თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა 1948 წელს, როცა უკვე არსებობდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარებული ქსელი ("Soprintendenze" (რაც იტალიურად ზედამხედველობას, ინსპექციას ნიშნავს)- შეიქმნა 1907 წელს, ხოლო პირველი ორგანული კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 1909 წელს იღებს სათავეს).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იტალიაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა გასული საუკუნის განმავლობაში ხორციელდებოდა ინსპექციის მიერ, რომელიც

ადგილობრივი ქვედანაყოფების სახით შევიდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტროში მხოლოდ 1974 წელს, როცა ეს უკანასკნელი დაარსდა.

ეს ნიშნავს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური დაცვის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ქსელური (კაპილარული) ტენიკური სამსახურების მეშვეობით, რომლებსაც ხელეწიფებათ კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის გამოყენების, კონსერვაციის, ადაპტაციისა და სახეცვლილების კონტროლის განხორციელება და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა. აღნიშნული სამსახურები უნდა ხელმძღვანელობდნენ ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმებითა და ღირებულებებით, რაც შეამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილებების ალბათობას და თანაც ამ სამსახურებში უნდა მუშაობდნენ კარგად მომზადებული კადრები, ადეკვატური ანაზღაურებით. შეიძლება განხილულ იქნას ასევე მუნიციპალური და რეგიონული დაქვემდებარების ერთობლივი სამსახურების შექმნის იდეაც, რეგიონული და მუნიციპალური დონეების ქმედითუნარიანობის ამალგების მიზნით. შეიძლება გამოყენებულ იქნას საპატიონისპექტორების ინსტიტუტის განსაკუთრებით შორეული ტერიტორიებისთვის.

იტალიის კონსტიტუციაში 2001 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა სამართლებრივი ბაზა. ამ ცვლილებებით მოხდა რეგიონების, მუნიციპალიტეტების და მსხვილი ქალაქების მეტროპოლიების როლის აღიარება კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირებასა და ვალორიზაციაში. ხსენებულმა ცვლილებებმა გაზარდა იმ სუბიექტების რაოდენობა, რომელთა დაეკისრათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პასუხისმგებლობა - თუმცა, ამავდროულად, ეს ცვლილებები გარკვეული გამოხმაურებაა (ზოგიერთი) რეგიონული ადმინისტრაციის მოთხოვნაზე - საკუთარი წილი რგებოდათ (სამომავლო ავტონომიის პერსპექტივით) კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ხელშეწყობაში.

2004 წელს იტალიის კანონმდებლობა არსებით რეფორმებს დაექვემდებარა და შედეგად გამოიცა ახალი ყოვლისმომცველი კანონი: კულტურის და ლანდშაფტური ობიექტების კოდექსი (იტალიურად ამ კოდექსს ქვია „Codicedeibeniculturali e delpaesaggio“, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „კულტურის ქონების (ობიექტების) და ლანდშაფტების კოდექსი. მთარგმნელის შენიშვნა). აღნიშნული კანონი ერთ სამართლებრივ ინსტრუმენტში უყრის თავს უკვე არსებულ დებულებებს და გვთავაზობს არსებით ინოვაციას, განსაკუთრებით ლანდშაფტურ ობიექტებთან დაკავშირებით.

ხსენებული კოდექსის პირველივე მუხლებშია ჩამოყალიბებული განმარტებები, (მაგ. "კულტურული მემკვიდრეობა" მოიცავს როგორც კულტურულ, ისე ლანდშაფტურ ობიექტებს; ახსნილია, თუ რა არის დაცვა, კონსერვაცია, ვალორიზაცია და ა.შ.), პასუხისმგებლობები და უწყებათა შორის თანამშრომლობის პრინციპები. მეურვეობა განმარტებულია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ობიექტების იდენტიფიცირება მათი ფუნქციის და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით და მათი დაცვისა და კონსერვაციის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი სარგებლობის მიზნით.

სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობა რელიგიური კულტურული მემკვიდრეობის სფეროში რეგულირდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე (უკანასკნელად ასეთი შეთანხმება დაიდო 2005 წელს) კონკორდატში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე. მსგავსი შეთანხმებები იდება სხვა რელიგიურ კონფესიებთანაც.

შეთანხმება კათოლიკურ ეკლესიასთან - რომელიც ყველაზე გავლენიანია იტალიაში - ითვალისწინებს სამინისტროსა და ეკლესიის ცენტრალურ თუ პერიფერიულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის ფორმებს, მათ შორის: რელიგიური მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და მუშაობის საჭიროებებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის მიზნით მონყობილ შეხვედრებს, კონსერვაციის პრინციპების ერთობლივად ჩამოყალიბებას იმ მიზნით, რომგათვალისწინებულ იქნას რელიგიური მნიშვნელობის

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მიერ შესრულებული ფუნქციები, ასევე, მემკვიდრეობის ინვენტარიზაციას, რელიგიური მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების *in situ* (ადგილზე) კონსერვაციას მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში ისე, რომ არ დაირღვეს მათი სარიტუალო ფუნქცია, და ა.შ.

იტალიაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონი ყოველთვის გულისხმობდა დაცვის ორმაგ რეჟიმს: საჯარო ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული კულტურული საკუთრება (მაგ. ეკლესია, ან არასამთავრობოები) ყოველთვის ითვლებოდა კანონის მიერ დაცულ ობიექტებად (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული ინტერესის საგნად ოფიციალურად გამოცხადების არ არსებობის შემთხვევაში, 50 წელზე უფრო ძველი უძრავი ობიექტი (დღეისათვის 70 წელზე ძველი) ითვლება დაცულად), ამავდროულად კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტების მიმართ საკუთრების ან მფლობელობის უფლების შეზღუდვისას ვრცელდება კულტურული ინტერესის ოფიციალურად გამოცხადების ვალდებულება. კულტურული ინტერესის გამოვლენისა და გამოცხადებისას შესაბამისი კომპენსაციის გადახდა არ ხდება. ამის მიზეზი იტალიის კანონმდებლობაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ადგენს, რომ კულტურული ინტერესი განიხილება როგორც საკუთრების განუყოფელი ნაწილი და არ ხდება მისი მინიჭება "გარედან". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში, როდესაც ხდება ობიექტის მიმართ კულტურული ინტერესის აღიარება, არც კერძო და არც საჯარო სექტორის მფლობელებს არ უხდებიან რაიმე სახის კომპენსაციას.

1998 წლამდე იტალიაში საჯარო სექტორის მფლობელობაში არსებული დაცული კულტურული ობიექტები არ ექვემდებარებოდა გასხვისებას, ან გაყიდვას, თუმცა, 1998 წელს მიღებულმა კანონმა და მას შემდეგ გამოსულმა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებმა საჯარო სექტორის მფლობელობაში მყოფი კულტურული ინტერესის გამო დაცული უძრავი ქონების გასხვისების ან/და საგირავნო უზრუნველყოფად გამოყენების ნება დართეს. სწორედ ამის შემდგომ დადგა საჭიროება "დადასტურებულიყო" კულტურული ინტერესის არსებობა სახელმწიფოს ან საჯარო ორგანოს საკუთრებაში მყოფი ობიექტების მიმართ, მათ შესაძლო გასხვისებამდე, რაკი მანამდე ასეთი რამ შეუძლებელი იყო.

**საჯარო სექტორის მფლობელობაში არსებული დაცული საკუთრების გაყიდვა (პრინციპები და დირექტივები)**  
იმ განზრახვით, რომ საკუთრების ფორმისშეცვლით (საჯაროდან კერძოზე) მიღწეულ ყოფილიყო კონსერვაციისა და დაცვის უკეთესი პირობები, 2000 წელს გამოიცა რეგულაციები, სადაც ჩამოყალიბდა პრივატიზაციისთვის საჭირო პირობები და კრიტერიუმები (DPR 283/2000). ობიექტის გასხვისება ექვემდებარება ნებართვას და არ შეიძლება გავრცელდეს არქეოლოგიურ მემკვიდრეობასა, ეროვნულ ძეგლებზე, ქვეყნის თვითმყოფადობის წარმომჩენ და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლებზე. გასხვისების ნებართვის მოთხოვნისას საჭიროა შემდეგი საბუთების წარდგენა: საკუთრების საიდენტიფიკაციო მონაცემები, უნდა დაერთოს პროგრამა, სადაც ახსნილი იქნება დაცვის და გაუმჯობესების რა მიზნები მიიღწევა აღნიშნული გასხვისების შემდეგ, კონკრეტულად: კონსერვაციის ზომები, საკუთრების ამჟამინდელი და შემდგომი გამოყენების ფორმა, საზოგადოების მიერ ობიექტით სარგებლობის პირობები, მათ შორის გასხვისებამდე სარგებლობის პირობებთან შედარება, ღონისძიებათა განხორციელების გრაფიკი. იმ შემთხვევაში, როცა გასხვისება ეხება დიდი კომპლექსის მხოლოდ ნაწილს, საჭიროა განმარტებულ იქნას რა გავლენას მოახდენს წარმოდგენილი პროგრამა მთლიან კომპლექსზე, რომლის ნაწილის გასხვისებაც იგეგმება.

ბოლო დროს, სახელმწიფოს და მისი სტრუქტურების ფინანსურმა სისუსტემ გამოიწვია საჭიროება, რომ სახელმწიფოს მის საკუთრებაში არსებული ობიექტებიდან მიეღო შემოსავალი და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების უფლება გაეცა; კანონმა შესაძლებელი გახადა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კულტურული თუ მხატვრული ობიექტების ჩათვლით (მაგ. ისტორიული ციხე-სიმაგრეები, ვრცელი კომპლექსები, ა.შ.) გადაეცემოდა ტერიტორიულ საჯარო ერთეულებს. თუმცა, ამგვარი გადაცემა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ გარანტირებული და გაუმჯობესებული იქნება დაცვა და საზოგადოებრივი წვდომა.

### **სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მემკვიდრეობის გადაცემა ტერიტორიული ერთეულის საკუთრებაში**

გადაცემისთვის აუცილებელი კრიტერიუმებია:

- დაქვემდებარება, ადეკვატურობა, ტერიტორიულობა (რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებს მუნიციპალიტეტს, სადაც მდებარეობს მოცემული საკუთრება, შემდეგ, პროვინციასა და ბოლოს - რეგიონს).

- ფინანსური შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფს დაცვის, მართვისა და ვალორიზაციის მოთხოვნების შესრულებას;

- შესაბამისობა საკუთრების გადაცემის მომთხოვნი ორგანიზაციის მისიასა და მოცემული საკუთრების მიერ შესასრულებელ ფუნქციას შორის;

- ეკოლოგიური ვალორიზაცია;

გადაცემა წარმოადგენს ოფიციალური შეთანხმების ხელმოწერის საგანს სახელმწიფო ორგანოს ტერიტორიულ სამსახურს, კულტურული საკუთრების რეგიონულ სამმართველოსა და მიმღებს შორის. ვალორიზაციის შესახებ მიღებულ დირექტივებში განმარტებულია აღნიშნული პროგრამების შინაარსი.

ნაწილი 1): საკუთრების აღწერა და მისდამი კულტურული ინტერესი (საიდენტიფიკაციო ბარათი, საკუთრების აღწერა მისი ისტორიული და კულტურულ-მხატვრული მახასიათებლები, აღწერითი ტექნიკური დოკუმენტაცია, ინტერესის გამოცხადება და ამ ინტერესის მიზნები, ამჟამინდელი გამოყენება);

ნაწილი 2): ვალორიზაციის პროგრამა (აღწერითი ანოტაცია, მიზნები, ამოცანები, შინაარსი და სტრატეგიები ამ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, სამომავლო გამოყენების სახეები, - მოკლე საშუალო და გრძელვადიანი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, მოთხოვნები დაცვასა და საზოგადოების მიერ სარგებლობასთან დაკავშირებით, კულტურული განვითარების სტრატეგიული გეგმები, განხორციელების საშუალებები, ეკონომიკური მდგრადობა, განხორციელების ვადები).

აღნიშნული ზომები დიდი ხნის მიღებული არაა, გარდა ამისა მოცემულ მომენტში მუნიციპალიტეტები რესურსების მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდიან, რაც მთავრობის მიერ საგადასახადო სისტემაში ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია; ამდენად, ჯერ ძალიან ადრეა იმის შეფასება, ფართოდ დაინერგება ამ ტიპის საკუთრების გადაცემა თუ მხოლოდ ფურცელზე დარჩება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთაღნიშნული პირობები ეხება მხოლოდ ნაშენ კულტურულ მემკვიდრეობას და არა ლანდშაფტს (მაგ. სანაპიროს, პლაჟებს და ა.შ.).

საჯარო მფლობელობაში არსებული ობიექტების შემთხვევაში მათდამი კულტურული ინტერესის არსებობის შეფასება ე.წ. "ვერიფიკაციის - დადასტურების" პროცესის გავლით ხდება. აღნიშნული პროცესის აქტივაცია უნდა მოხდეს მფლობელის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ონ-ლაინ საინვენტარიზაციო ბარათის შევსებაზე, სადაც აღწერილი და დოკუმენტირებულია შესაფასებელი საკუთრება. ყველა ეს დოკუმენტაცია შედის ონ-ლაინ

კატალოგში (იხ.[www.benitutelati.it](http://www.benitutelati.it)) რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, და თანდათანობით ივსება.

სამინისტროს ასევე შექმნილი აქვს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) სადაც მოცემულია ინფორმაცია უძრავი დასახლებების და ლანდშაფტების შესახებ, (იხ.: <http://151.1.141.125/sitap/>; <http://sitap.beniculturali.it/>; [http://www.liguriavincoli.it/vincoli\\_paesagg.asp](http://www.liguriavincoli.it/vincoli_paesagg.asp)); ამჟამად, რეგიონების, პროვინციების და მუნიციპალიტეტების უმეტესობა ერთმანეთს ტერიტორიულ ინფორმაციას უზიარებს საკუთარი კარტოგრაფიული ვებ- GIS -ის საშუალებით.

თუმცა, ონ-ლაინ კატალოგი და სისტემა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულების იმგვარად წასახალისებლად, როგორც ეს კანადის ისტორიული ადგილების შესახებ ინიციატივის მიერ ხდება: <http://www.historicplaces.ca/en/home-accueil.aspx>. იტალიაში ასეთი სახის ინფორმაციის გამოყენება ძირითადად პროფესიონალების და საჯარო ადმინისტრირების სექტორში ხდება, თუმცა ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს ვალორიზაციის ხელშემწყობ და მოქალაქეთა თუ ზოგადად საზოგადოების ცნობადობის ასამაღლებელ ინსტრუმენტს.

გარკვეული ინიციატივების წამოწყება მოხდა ასევე ლომბარდიის რეგიონში (იტალიის ყველაზე მონინავე რეგიონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში), სადაც რეგიონის დასახლებული კულტურული მემკვიდრეობის რეესტრი ხელმისაწვდომია ონ-ლაინ რეჟიმში და ყველა მომხმარებელს ანვდის სასარგებლო ინფორმაციას, რითაც ასრულებს ინფორმირების და გათვითცნობიერების ფუნქციას (იხ.:<http://www.lombardiabeniculturali.it/percorsi/ville-parco-monza/> ან [http://www.cultura.regione.lombardia.it/cs/Satellite?c=Page&childpagename=DG\\_Cultura%2FDGLayout&cid=1213349695035&p=1213349695035&pagename=DG\\_CAIWrapper](http://www.cultura.regione.lombardia.it/cs/Satellite?c=Page&childpagename=DG_Cultura%2FDGLayout&cid=1213349695035&p=1213349695035&pagename=DG_CAIWrapper)).

საფრანგეთში ეს სფერო უკეთაა ორგანიზებული, თუმცა იტალიის მსგავსად ინფორმაციაზე წვდომა აქაც შეზღუდულია და არ არის აღწერილობითი ხასიათის. (იხ.: [http://www.culture.gouv.fr/public/mistral/mersri\\_fr?ACTION=CHERCHER&FIELD\\_1=REF&VALUE\\_1=PAO0118114](http://www.culture.gouv.fr/public/mistral/mersri_fr?ACTION=CHERCHER&FIELD_1=REF&VALUE_1=PAO0118114))

სხვა მონაცემთა ბაზები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან დაკავშირებული რისკების რუკებს შეიცავს შეიძლება მოიძიოთ შემდეგ ვებ გვერდებზე:

- <http://www.cartadelrischio.it/eng/index.html>

- <http://www.lombardiabeniculturali.it/sirbec/>

**რეკომენდაცია:** მოქალაქეებსა და ტურისტებს შორის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და კატალოგის გამოყენება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და საქართველომ ეს უნდა გამოიყენოს როგორც შანსი, რათა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს სხვადასხვა ობიექტის შესახებ ინფორმაცია, ისტორია, ღირებულებები, კონსერვაციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და საჭიროებები (რასაც შეიძლება მოყვეს crowdfunding-ი (ანუ, ინტერნეტით ფულის შემოწირვა სხვადასხვა ფიზიკური პირისა და სპონსორისაგან).

რისკების რუკების შექმნა სასარგებლო იქნება, თუ მათი შედგენა მოხდება შედარებით მოკლე დროში. შეფასების პირველი დონე ეყრდნობა ტერიტორიულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რეგიონში ბუნებრივი მორფოლოგიითა და ანთროპოგენული საფუძვლიანობით გამოწვეულ მავნე ფაქტორებს (მაგ. მოსახლეობის სიმჭიდროვე, მრეწველობა და ა.შ.); ასეთი შეფასება სასარგებლოა, თუმცა უნდა მოხდეს შეფასების უფრო დეტალიზებული ფორმით ჩამოყალიბება, რათა შეგროვდეს და შეფასდეს მატერიალური რაოდენობის ინფორმაცია საკუთრების კონსერვაციის მდგომარეობის

დაცულ საკუთრებაზე ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულების ნებართვა გაიცემა კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს მიერ, რომელიც განიხილავს პროექტს. ცოტა ხნის წინ სამინისტრომ გამოსცა ცირკულარი, რომელიც ადგენს შესაფასებელი საკონსერვაციო პროექტის მიმართ მინიმალურ მოთხოვნებს (იხ. დანართი); მას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ კანონი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის თითოეულ ეტაპზე შესამუშავებელი დოკუმენტების სახეებსა და შინაარსს (წინასწარი, განმარტებითი, საოპერაციო) და MIBACT-ის (კულტურის სამინისტროს) ცენტრალური სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

კანონი ასევე ითვალისწინებს კანონით დაცული მემკვიდრეობის (ნაწილობრივ) დანგრევის შესაძლებლობას. ნებართვის შესახებ თხოვნას თან უნდა ერთვოდეს პროექტი და მიზეზები, თუ რის გამოა აუცილებელი საკუთრების ნაწილობრივი ან მთლიანი დანგრევა. წყალდიდობების რისკის გამო საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნები ძველი ხიდების (რომელიც საზოგადოებრივ საკუთრებაშია და როგორც წესი დაცულია კანონით) დანგრევაზე; მემკვიდრეობის სხენებული ობიექტები ყველაზე ხშირად ხდება დანგრევის მოთხოვნის საგანი. სხვა შემთხვევებში მოთხოვნა ეხება მემკვიდრეობის ობიექტების მხოლოდ ნაწილობრივ დანგრევას (ეს წესი მოქმედებს თუ ნაგებობის მნიშვნელოვან ნაწილზეა საუბარი, რამდენადაც კონსერვაციის სამუშაოების დროს შეიძლება საჭირო გახდეს კედლების, ქვაფენილის მცირე ნაწილის, ძველი დაზიანებული ფანჯრების ან სხვა კომპონენტების მოხსნა და ასეთ დროს დანგრევის ნებართვის პროცედურა არ იწყება); ძველი ხიდების თემა უფრო და უფრო პრობლემატური ხდება, რადგან კულტურის სამინისტროს თანამშრომლებს არ აქვთ შესაფერისი ცოდნა იმისათვის რომ დაუპირისპირონ ზემოთაღნიშნულ შემთავაზებებს ალტერნატიული ჰიდრაულიკური უსაფრთხოების ზომების გატარება (მსგავსი პრობლემის წინაშე დავდექით ჩინკვეტერეში (Cinque Terre) 2011 წლის წყალდიდობის დროს). ხშირად, თუ დანგრევა გარდაუვალი ხდება, ამ დროს საჭიროა წინასწარი დოკუმენტაციის წარდგენა და ობიექტის დანგრევის პროცესზე კონტროლის განხორციელება, თუმცა, ეს საკმაოდ რთულია, რადგან თავად სამინისტროს არ ჰყოფნის კადრები ყველა საჭირო ღონისძიების გეგმაზომიერად განხორციელების შესამოწმებლად.

მნიშვნელოვანია გავისხენოთ, რომ კანონი საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ (ძველი ვერსია l. 109/1994, და ასევე d.p.r. 554 - /1999, ხოლო დღეისათვის d.lgs. 163/2006 და dpr 207/2010) შეიცავს კონკრეტულ თავს, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ პროექტებს ეხება და რომელიც ცნობს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ პროექტების სპეციფიკურ ხასიათს და ამდენად განსხვავებულ ნორმებს აწესებს (იხ. თავი "სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო რეკვიზიტები და სტანდარტები"). კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული შეთანხმების მიხედვით, საჯარო მფლობელობაში მყოფი საკუთრების მიმართ არსებული მოთხოვნები პროფესიონალებისა და საკონსერვაციო კომპანიების ჩართულობის შესახებ თანაბრად ეხება ეკლესიის საკუთრებაში არსებულ კულტურულ ობიექტებსაც.

მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული მაღალი არქეოლოგიური პოტენციალის გამო, კანონი საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ (d.lgs. 163/2006 artt. 95 და 96; ოპერატიული რეგულაციები DPR 207/2010 artt.) სავალდებულოდ ხდის წინასწარი პრევენციული გამოკვლევის ჩატარებას პოტენციური არქეოლოგიური აღმოჩენის დასადგენად. ასეთი გამოკვლევა ტარდება ორ დონეზე: წინასწარ და საბოლოო.

## არქეოლოგიური ინტერესის არსებობის პრევენციული დადასტურება (წინასწარი და საბოლოო)

პროცედურა მოიცავს გამოკვლევას და დამატებითი დოკუმენტების დართვას პროექტზე. ის ორი ფაზისგან შედგება, რომლის დროსაც ხდება კვლევის თანდათანობით გაღრმავება. მეორე ფაზის წარმოება დამოკიდებულია ისეთი ელემენტების (ნიშნების) ან საგნების აღმოჩენაზე, რაც ადასტურებს დამატებითი კვლევების საჭიროებას.

წინასწარი ფაზა: ეს არის ისტორიული ანალიზი, ობიექტის ფოტო-ინტერპრეტაცია, მონდირება, გეოფიზიკური და გეოქიმიური კვლევები, არქეოლოგიური სინჯების აღება და ანალიზი; მეორე ფაზა (პროექტის საბოლოო და საოპერაციო ფაზების შერწყმა): გაფართოებული კვლევისა და გათხრების წარმოება.

პროცედურის დასასრულს ხდება არქეოლოგიური ანგარიშის წარდგენა, სადაც მოცემულია ჩატარებული საძიებო მუშაობის ანალიზი, მოცემულია ინფორმაცია არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ, სადაც გათხრების შედეგად დასტურდება დაცვის აუცილებლობა, და აგრეთვე, იმ არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ, სადაც არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგების თანახმად, არ დასტურდება უნიტარული სტრუქტურული კომპლექსის არსებობა დამხოლოდ დაბალი დონის კონსერვაციას ითხოვს და სადაც შესაძლებელია ნიმუშების კვლავ დაფლვა, ან მათი დაშლა და კვლავანცობა / ან სხვა ადგილას მუზეუმიკაცია; ისეთ კონტექსტში, როცა საქმე ეხება კომპლექსებს, რომელთა კონსერვაციაც აუცილებელია ადგილზევე მოხდეს, შესაბამისად, შეიძლება მოხდეს პროექტის ცვლილება/გაუქმება.

არქეოლოგიური ანგარიში უნდა დაამტკიცოს კომპეტენტურმა საზედამხედველო სამსახურმა. მსგავსი სახის არქეოლოგიური სამუშაოებისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების ხარჯები ეკისრება პროექტის წარმდგენ მხარეს.

კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და დაცვის შესახებ მოქმედი ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპები (დირექტივები) ითვალისწინებს:

- კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობების მოდიფიკაციის სეისმომდევ მეთოდებს და რეკომენდაციებს (დოკ. 1);
- STOP ტექნიკურ რეკომენდაციებს სეისმური დაზიანებების მქონე შენობების დაცვის საგანგებო ზომებთან დაკავშირებით (დოკ. 2);
- დაზიანებული შენობების ინვენტარიზაციას (დოკ. 3).

## კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვა და ურბანული დაგეგმვა

იტალიაში, ურბანული დაგეგმვის თავისებურება, თეორიულად მაინც გულისხმობს, რომ დაცული იქნას ტერიტორია და მასზე არსებული ღირებული ისტორიული უძრავი ცენტრები, ამდენად, დაგეგმვის სისტემის ერთ-ერთ მთავარი ამოცანა სწორედ ესაა. უმეტეს შემთხვევებში, ეს მხოლოდ იდეის დონეზე სრულდებოდა, თუმცა რაკი ეს საკითხი ასე თუ ისე ფიგურირებდა, ამით შესაძლებლობა იქმნებოდა, რომ შემონახულიყო შესაბამისობის ხარისხი დასახულ ამოცანებსა და მათ მისაღწევად გატარებულ ზომებს შორის.

თავდაპირველად, ურბანული დაგეგმვა ხორციელდებოდა სახელმწიფოს ხელმძღვანელობით, კერძოდ, საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს საშუალებით (დღეისათვის ინფრასტრუქტურის, ტერიტორიისა და ზღვის დაცვის სამინისტრო); 1972 წლიდან ურბანული დაგეგმვა რეგიონულ ხელისუფლებას გადაეცა და დღეისათვის ტერიტორიების მართვა რეგიონული ხელისუფლების და მათ შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელშია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა რეკონსტრუქციამ და ეკონომიკურმა აღმავლობამ სერიოზული ზიანი მიაყენა ლანდშაფტსა და კულტურულ მემკვიდრეობას. რისკები თვალსაჩინო იყო დარამდენიმე საქმეში ჩახედული და განათლებული ურბანული დაგეგმარების სპეციალისტების წყალობით, რომელთა ძალისხმევითაც მოხდა ისტორიული ურბანული ცენტრების "ძეგლებად" აღიარება, ჩამოყალიბდა ასეთი ცენტრების შესწავლის, დოკუმენტირებისა და კონსერვაციის უზრუნველყოფის კონკრეტული მეთოდოლოგია.

ისტორიულ ცენტრებში 1950-ან და 60-ან წლებში დანყებული უკონტროლო სახეცვლილებების შესაჩერებლად იტალიამ მიიღო კანონი #765/1967, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება ჩაინერგა ტერიტორიებისა და ქალაქების სახეცვლილების კონტროლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი დებულება: "ყველა ტერიტორია, რომელიც მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშაა უნდა შევიდეს განვითარების გენერალურ გეგმაში (არა მხოლოდ ამ ტერიტორიაზე არსებული ნაგებობები ან განაშენიანებული ნაწილი); არავითარი სახეცვლილება, გარდა გეგმაზომიერი და საავარიო შეკეთებითი სამუშაოებისა არ შეიძლება ჩატარდეს ასეთ ტერიტორიაზე და მასზე დამაგრებულ ნაგებობებზე - კერძოდ კი, ისტორიულ ცენტრებში, სანამ არ მოხდება ასეთი ცენტრების საზღვრების გამოყოფა, დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება; დეტალური გეგმები, რომლებიც ეხება ტერიტორიებს, სადაც განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის ნიშნით დაცული ნაგებობები (მაშინაც კი, თუ საქმე გვაქვს ერთეულ ნაგებობასთან), დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს soprintendenze-ს (საზედამხედველო ორგანოს). ამ ნორმების შემოღების მთავარი დანიშნულება იყო დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობების გარშემო ე.წ. არაოფიციალური "ბუფერული ზონების" წარმოქმნა.

დღეისათვის თითქმის ყველა გენერალური გეგმა შეიცავს ისტორიული ადგილების დამცავ ზომებს და სამშენებლო რეგულაციებს ისტორიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიებისთვის, რომლებიც როგორც წესი დაცვისა და კონსერვაციის ღონისძიებების მისაღებ ღონეს გვთავაზობს - განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისტორიულმა ადგილებმა მეტი მდიდარი სოციალური წრე მიიზიდა პერიფერიულ ტერიტორიებთან შედარებით, თავიანთი მდებარეობისა და ცხოვრებისთვის სასიამოვნო გარემოს გამო.

**გენერალური გეგმის განხორციელების დეტალური გეგმის შინაარსი :**

- საგზაო ქსელი და მონაცემები ძირითადი სიმაღლეების შესახებ
- მთავარი ქუჩებისა და მოედნების გასწვრივ მდებარე შენობების მასა და სიმაღლეები;
- საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სამუშაოებისთვის გამოყოფილი სივრცეები;
- მოცემულ ტერიტორიაზე არსებული თითოეული შენობისთვის მიზანშეწონილი ღონისძიებები (შენახვა-მომსახურება, აღდგენა, რეაბილიტაცია, მოდიფიკაცია, დაშლა, რეკონსტრუქცია);
- ნაკვეთის დაყოფა სამშენებლო მიზნებისთვის;
- ნუსხაში შესატანი დაცვას დაქვემდებარებული და ექსპროპრიაციისთვის განკუთვნილი ობიექტების საკადასტრო სია;
- საზოგადოებრივი სამუშაოების ადგილების მომიჯნავე ზონების სიღრმე, რომლებიც გამოყოფილია საზოგადოებრივი მიზნებისთვის საზოგადოებრივი სამუშაოების განხორციელებისა ან რაიმე სამომავლო საჭიროებისათვის.

თითოეული გეგმა უნდა აისახოს ანგარიშში და თან ახლდეს შესაბამისი ბიზნეს გეგმა.

მას შემდეგ, რაც რეფორმის ძალით ურბანულ და ტერიტორიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებლობა რეგიონულ ხელისუფლებას გადაეცა, იტალიაში, განსხვავებული გამოცდილება დაგროვდა ამ თემის მიმართ შედარებით უფრო მგრძობიარე რეგიონებსა და იმ რეგიონებში შორის, რომლებშიც ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მსგავს საკითხებს. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ბმულს, რომელთა საშუალებითაც შეძლებთ გაეცნოთ ტრადიციული ნაშენი



მემკვიდრეობისთვის დოკუმენტების მომზადების პრაქტიკას და მათ დასაცავად შემუშავებულ ღირეფტივებს:

<http://sardegna.territorio.it/cittacentristorici/manualirecupero.html> (ძალიან საინტერესოა - ყველაზე სრულყოფილი და დეტალური დოკუმენტაცია სარდინიის ტრადიციული ნაშენი მემკვიდრეობის შესახებ - შეიძლება გავითვალისწინოთ მსგავსი პრაქტიკის გამოყენება საქართველოშიც).

შესაძლებელია ურბანული დაგეგმვის ისტორიის, კანონებისა და მაგალითების დამატებითი ანალიზის წარმოდგენა თუ იქნება სათანადო მოთხოვნა ან საჭიროება.

კულტურული და ლანდშაფტური მემკვიდრეობის კოდექსი პირველ რიგში ადგენს, რომ ყველა კონკრეტული გეგმა, რომელიც ეხება ლანდშაფტის მნიშვნელობის აღიარებასა და კონსერვაციას, უნდა შემუშავდეს ერთობლივად კულტურის სამინისტროსა და რეგიონული მთავრობის მიერ. ლანდშაფტის გეგმის შინაარსი კანონით არის განწერილი - რის გამოც ლანდშაფტური გეგმების სტრუქტურა უფრო ხისტიცაა; თუმცა ეს შეიძლება გავებულ იქნას როგორც რეაქცია მუნიციპალური გენერალური გეგმების გადაჭარბებულ მოქნილობაზე და ამ გეგმებისსხირ ცვლილებებსა და დამატებებზე.

ლანდშაფტური გეგმის შინაარსი (d.lgs. 42/2004-ს მიხედვით)

მინიმალური მოთხოვნები:

- ლანდშაფტის მახასიათებლების ანალიზი, რომელიც გამომდინარეობს ბუნებისა და ისტორიის ურთიერთდამოკიდებულებიდან;
  - დაცული ტერიტორიების ინვენტარიზაცია, საზღვრების დადგენა და შესაბამისი მასშტაბით წარმოდგენა;
  - ოფიციალური დაცვისთვის შესაფერისი სხვა კონტექსტების იდენტიფიცირება;
  - ტერიტორიისსახეცვლილების დინამიკის ანალიზი რათა გამოვლინდეს რისკის ფაქტორები და ლანდშაფტის მოწყვლადი ელემენტები და მოხდეს მათი შედარება დაგეგმვისა და პროგრამირების ინსტრუმენტებთან;
  - დეგრადირებული ფართობების იდენტიფიკაცია რომლებიც სავარაუდოდ ექვემდებარება გამოსწორებას / რეაბილიტაციას და ვალორიზაციის სხვა ღონისძიებებს შეესაბამება ლანდშაფტის დაცვის მოთხოვნების შესაბამისად;
  - იმ აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს დაცული ლანდშაფტების კონტექსტში სახეცვლილების პროექტების სწორად ჩასმას და მიზნად ისახავს მოცემული ტერიტორიის მდგრად განვითარებას;
- გეგმაში შეიძლება ასევე გავითვალისწინოთ
- იმ ადგილების იდენტიფიცირება და საზღვრების დადგენა, რომლებსაც არ ჭირდება სალანდშაფტონებართვები;
  - აღდგენით პროექტებში გათვალისწინებული იმ დეგრადირებული ფართობების გამოვლენა და საზღვრების დადგენა, რომლებსაც არ ჭირდება სალანდშაფტონებართვები;
  - პრიორიტეტულობის ღირეფტივების შემუშავება კონსერვაციის / აღდგენის / რეაბილიტაციის / ვალორიზაციის პროექტებისთვის.

დაცულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასებაში დაგვეხმარება ანგარიში ლანდშაფტის შესახებ, რომლის წარდგენაც აუცილებელია როცა ნებისმიერი პროექტის დასამტკიცებლადწარდგენის შემთხვევაში. 2005 წელს მინისტრის ბრძანებით (D.M.12.12.2005) დამტკიცდა ხსენებული ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო ღირეფტივები (სახელმძღვანელო პრინციპები).

## ღირეფტივები (სახელმძღვანელო პრინციპები)

ლანდშაფტური ანგარიშის შედეგის კრიტერიუმები და შინაარსი

ლანდშაფტის ანგარიში შესაბამისი დოკუმენტების მეშვეობით უნდა აღწერდეს ადგილის (ლანდშაფტის კონტექსტისა და სამიზნე ტერიტორიის) მდგომარეობას და გეგმილი სამუშაოების დაწყებამდე და აგრეთვე პროექტის მახასიათებლებს. ამდენად, ლანდშაფტის ანგარიში უნდა გვანვიდეს ინფორმაციას შემდეგზე:

ლანდშაფტის ზონის ამჟამინდელი მდგომარეობის და მისი მნიშვნელოვანი კომპონენტების და სახასიათო ელემენტების და აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების შესახებ; შემოთავაზებული სახეცვლილების მოსალოდნელ ზეგავლენაზე ლანდშაფტზე, ზიანის შემცირებისა და კომპენსაციის ელემენტებზე, და სხვა დამატებით ინფორმაციას, რაც სამინისტროს საშუალებას მისცემს, დაადგინოს პროექტის თავსებადობა ლანდშაფტის მნიშვნელობასთან, მისი შესაბამისობა ამ ზონისთვის დადგენილ მართვის კრიტერიუმებთან, მისი შესაბამისობა ლანდშაფტური გეგმის მიხედვით დადგენილ ლანდშაფტის ხარისხობრივ ამოცანებთან მიმართებაში.

ლანდშაფტური ანგარიშის შინაარსი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ადგილმდებარეობის ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველ ანალიტიკურ დოკუმენტებს; ლანდშაფტის თავისებურებების აღწერას; ასევე გამოყენებული უნდა იყოს ისტორიული და მიმდინარე კარტოგრაფიული მასალა.

- გეომორფოლოგიურ კონფიგურაციას, ბუნებრივ სისტემებს, ისტორიული განსახლების სისტემებს, სასოფლო და აგარულ ლანდშაფტებს, ტერიტორიის ისტორიულ ქსოვილს (ისტორიული საგზაო ქსელები, მიწა მზომელობა centuriatio), პანორამულ სივრცეებს და ხედებს, სიმბოლურ განზომილებებს, და ა.შ. აღწერა უნდა მოიცავდეს ისტორიულ შეჯამებას, კარტოგრაფიულ დოკუმენტაციას, რაც ხაზს გაუსვამს ლანდშაფტის ფუნქციურ, ვიზუალურ, და სიმბოლურ ურთიერთობას მასზე დამატებულ კომპონენტებთან; აქვე უნდა აისახოს დეგრადირების შესაძლო ხასიათი;

- სამართლებრივ და გეგმარებით დაცვის ღონისძიებებს და უნდა მიუთითებდეს, რომ საქმე გვაქვს დაცულ კულტურულ მემკვიდრეობასთან.

- მოცემული ტერიტორიის ამსახველი ფოტო მასალა სადაც აღბეჭდილია პანორამული ხედები, სავალი გზები და მარშრუტები, ასევე შემოთავაზებული პროექტის განთავსების ადგილი; მასალა უნდა მომზადდეს იმგვარად, რომ ნათლად აჩვენოს შემოთავაზებული პროექტის შესაძლო ზეგავლენა თავისი განთავსების გარემოზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხედვის არეში განლაგებული კონკრეტული ზონების მიმართ ფერების შერჩევას, მასალისა და ტექნოლოგიური საშუალებების არჩევას და ა.შ. და ადეკვატური არქიტექტურული გადანყვეტილების მიღებას ფორმების, ფერის, ტექნიკური და სამშენებლო საშუალებების, მოცულობის, პროპორციულობის და მისთ. თვალსაზრისით.

პროექტის ტიპისა და ობიექტის მდებარეობის მოხედვით, სხვადასხვა მასშტაბში შესრულებული ტექნიკური ნახაზებისა და ესკიზების დეტალური სიაც უნდა დაერთოს ანგარიშს.

დამატებითი დეტალები მოეთხოვება უფრო ფართო მასშტაბიან პროექტებსა და ზემოქმედების სპეციფიკურ ღონისძიებებს (მაგ. მაგისტრალური ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და მისთ. პროექტებს).

ბოლო დროს, იტალიაში პრიორიტეტული გახდა სასოფლო და ტრადიციული აგარული ლანდშაფტების დაცვა, რადგან ძალიან შემცირდა აგარული საქმიანობა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწები უძრავ ქონებაში კაპიტალის დაბანდებას ეწირება.

ამ მიმართულებით განხორციელებულ საინტერესო ღონისძიებებს შორისაა აგრარული ლანდშაფტების ობსერვატორიის და ტრადიციული აგრარული ლანდშაფტების რეესტრის დაარსება. სავარაუდოდ შეიქმნება კომისია რომელიც შეაფასებს აგრარული ლანდშაფტების ეროვნულ რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განაცხადებს. დაგეგმილია, რომ ასეთი სტატუსი სამომავლოდ პრიორიტეტს მიანიჭებს მფლობელს ევროკავშირის სასოფლო განვითარების გეგმაში მონაწილეობისთვის. აღნიშნული ღონისძიება სულ ახლახან დამკვიდრდა და ჯერ რაიმე კონკრეტული ქმედება არ მოჰყოლია შედეგად. მიუხედავად ამისა, ძალიან საინტერესოა წინასწარი კვლევის შედეგები, რომლებმაც თითოეულ რეგიონში გამოავლინა ტრადიციული აგრარული / სასოფლო მიწის ფართობები: "Paesaggiruralistoriciperuncatalogonazionale". ამ სამუშაოს კოორდინაციას უწევს პროფესორი მაურო ანიოლეტი (Mauro Agnoletti) (იხ. დანართი დოკ.6)

*რეკომენდაცია: კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, რომ ქართულ კანონმდებლობაში მოხდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული ზემოქმედების შეფასების პროცედურების განსაზღვრა, რაც ყველანაირი ზემოქმედების სრულყოფილად შეფასების საშუალებას მოგვცემს და წაახალისებს და გააუმჯობესებს საზოგადოების თანამონაწილეობას დაგეგმვის პროცესში, როგორც ეს განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოს სტრატეგიული შეფასების შესახებ ევროკავშირის დირექტივაში; აღნიშნული დირექტივა ტერმინის "გარემო" ქვეშ ასევე გულისხმობს კულტურულ მემკვიდრეობასაც, როგორც ბუნებრივ - სოციალურ კომპლექსს. თუმცა, მართალია უკვე არსებობს ბუნებაზე ზემოქმედების შესაფასებელი კონკრეტული მეთოდები, იგივეს ვერ ვიტყვით კულტურული ფასეულობებისა და მემკვიდრეობის შეფასებასთან დაკავშირებით, სადაც არ შემუშავებულა რაიმე სახის კონკრეტული მეთოდოლოგია. მეორესმხრივ, იტალიის კანონმდებლობით მოთხოვნილი ლანდშაფტის ანგარიში შეიძლება მართლაც სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდეს ამ სახის სამუშაოსთვის. გარდა ამისა, ICOMOS HIA-ს (მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება) გამოყენებაც შეიძლება სათანადო გადასინჯვისა და დახვეწის შემდეგ.*

### **რეკვიზიტები და სტანდარტები სამუშაოების ჩასატარებლად**

ევროპული დირექტივის კვალდაკვალ მოხდა საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ კანონის გადასინჯვა. ზოგადად, ახალი დებულებები არ უწყობს ხელს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და პროფესიონალებს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური მოთხოვნები ითვალისწინებს, რომ დაცულ ზონებში სამუშაოების შემსრულებელ კონტრაქტორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარები, მთლიანად სისტემა უფრო მეტად მსხვილი სამშენებლო კომპანიებისა და საინჟინრო საზოგადოებების სტრუქტურას უფრო მიესადაგება. ეს ართულებს ტრადიციული ხელოსნობით დაკავებული პირების ჩართვას, რომლებიც შეიძლება საკმაოდ დახელოვნებულნი იყვნენ, მაგრამ არ ჰქონდეთ მსხვილი კომპანიებისთვის დამახასიათებელი საორგანიზაციო სტრუქტურა, რათა ფეხი აუწყონ სექტორში მიმდინარე ცვლილებებს; ამდენად სექტორში მოქმედი ტრადიციული ხელოსნების დიდი ნაწილი ქრება ბაზრიდან როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალი. მიუხედავად ამისა, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული კვალიფიკაციის კანონით დადგენილმა მოთხოვნამ გაზარდა კონსერვაციის სფეროში სპეციფიკური განათლების მქონე პროფესიონალები რაოდენობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი სამუშაოებისა და კონტრაქტების მარეგულირებელი კანონი აღიარებს დაცული კულტურული მემკვიდრეობის ზონებში განხორციელებული პროექტების და სამუშაოების განსაკუთრებულ სპეციფიკას, რისგათვალისწინებაც პროექტირების პროცესშია საჭირო. კანონში შეტანილ იქნა კონკრეტული თავი, რომელიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის ზონებში განხორციელებულ პროექტებსა და სამუშაოებს. აღნიშნული თავი განსაზღვრავს საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ წაყენებულ კონკრეტულ მოთხოვნებს. კერძოდ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ "დეკორირებულზედაპირებზე" ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოებისათვის,

როგორცაა, მაგ. ფერწერული ზედაპირი, ბათქაში, ქვის წყობა და რელიეფები, საჭიროა კონკრეტული საკონსერვაციო ბარათების მომზადება პროფესიონალის მიერ, რომელიც ფლობს რესტავრატორის / კონსერვატორის შესაბამის კვალიფიკაციას. აღნიშნული ბარათები შეიცავს დეტალურ ინფორმაციას მასალის, ტექნიკის, კონსერვაციის მდგომარეობის და კონსერვაციის პრობლემების დასაძლევად ჩარევის აუცილებელი ზომების შესახებ (მაგალითები მოცემულია დანართში).

კულტურული მემკვიდრეობისობიექტებზე სამუშაოების ჩატარების მსურველმა კომპანიამ უნდა დაამტკიცოს, რომ ფლობს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს (წინაპირობას) როგორც ტექნიკურ, ისე ორგანიზაციულ დონეზე. აქ იგულისხმება მუდმივი საშტატო შემადგენლობის კვალიფიკაცია და დარგში მიღებული გამოცდილება (წლებისა და კონტრაქტების რაოდენობა).

მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაც.

## **ფინანსური სტიმულირება და საგადასახადო შეღავათები კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისთვის**

### **დაცული კულტურული მემკვიდრეობა**

კულტურის სამინისტროს მიერ პირდაპირი ჩარევა გულისხმობს სამინისტროს ცენტრალური და პერიფერიული სამსახურების მიერ განხორციელებულ საკონსერვაციო პროექტებსა და სამუშაოს, რაც, როგორც წესი ხორციელდება საჯარო საკუთრებაში მყოფ ძეგლებზე/დაცულ შენობა-ნაგებობებზე ან, ხელოვნების ნიმუშებზე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში - დაცულ ლანდშაფტებზე.

ბიუჯეტის ფორმირება ხდება ცენტრალურ დონეზე, სადაც კულტურის სამინისტროს პერიფერიული სამსახურებიდან (რომლებიც რეგიონულ ფილიალებს წარმოადგენს და მოიცავს რეგიონულ დირექტორატებს- ეს ბოლოდროინდელი რეფორმაა, რომელსაც ძალზე აკრიტიკებენ, - და კოორდინირებას უწევს soprintendenze(საზედამხედველო) სამმართველოებს) ხდება საპროექტო წინადადებების წარდგენა არქიტექტურულ და ლანდშაფტურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ასევე, ხელოვნების მოძრავი ნიმუშებისათვის და არქეოლოგიური ობიექტებისთვის.

- სარემონტო - ტექ.მომსახურების სამუშაოები;
- არსებული შენობა-ნაგებობების ფონდის რეაბილიტაცია;
- უკვე დაწყებული სამუშაოების დასრულება;
- უკვე დამტკიცებული პროექტები დეტალური განრიგით;
- პროექტები, რომელთა განხორციელების ხარჯების უმეტესი ნაწილი იფარება კერძო ფონდებიდან.

ყოველწლიურად კულტურის სამინისტრო გამოსცემს ცირკულარს, სადაც სხვა დამატებითი პრიორიტეტებია ჩამოთვლილი (მაგალითებს მოგაწვდით), ასევე მოცემულია განაცხადის მიღების ვადები და დაფინანსების ზედა ზღვარი. პრიორიტეტების შემოთავაზებული სია უნდა შეიცავდეს პროექტების ხელმისაწვდომ სქემას, თანადაფინანსების პროცენტულ წილს და წყაროს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საკუთრების სტატუსს (მხოლოდ სახელმწიფო და ეკლესიის საკუთრებაში მყოფი ობიექტი შეიძლება დაფინანსდეს პირდაპირ; პრიორიტეტი ენიჭება სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ და კულტურის სამინისტროს მიერ დაცულ მემკვიდრეობას).

იტალიამ შეიმუშავა რისკების რუკა, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სახით, თუმცა იგი არასოდეს დანერგილა სრულად და ვერ ჰპოვა ფართო გამოყენება, რადგან საკმაოდ რთული აღმოჩნდა (გადატვირთულია დეტალებით და ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვს მისი ფართოდ გამოყენება). ასეთი სახის ინსტრუმენტი ძირითადად საჭიროა ჩარევის ღონისძიებებისთვის პრიორიტეტების დასადგენად, თუმცა მისი ფართოდ გამოყენება რომ დაიწყოს, საჭიროა მისი გამარტივება (ძეგლებისა თუ დაცული შენობა-ნაგებობების საკმაოდ დიდი რაოდენობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად აღრიცხული მათი კონსერვაციის პირობების კუთხით).

უკვე მრავალი ათწლეულია ჩვეულებრივი საბიუჯეტო პროგრამა სასწრაფო ჩარევის ღონისძიებების დაფინანსებას და მცირე და საშუალო მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას უზრუნველყოფს, თუმცა ვერ წვდება მსხვილი პროექტების დროულ განხორციელებას, რადგან კულტურის სამინისტროს პერიფერიულ სამსახურებს არ შესწევთ კომპლექსური პროექტების შემუშავებისა და ტენდერების მართვის უნარი. ამდენად, შემუშავდა დაფინანსების ახალი სქემები, სადაც ჩაიღო კონკრეტული კრიტერიუმები და წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია პროექტების რეალიზაციის და სახსრების ათვისების ტემპის გაუმჯობესებისათვის.

დაფინანსების სპეციალური ეროვნული პროგრამები, რომლებიც კონკრეტულად დაცულ მემკვიდრეობას ეხება, მოიცავს შემდეგს:

- ლატარიის ფონდი ("ProventiGiocodelLotto" L. n. 662/1996): შეიქმნა, როგორც სამწლიანი პროგრამა მსხვილი საკონსერვაციო / ვალორიზაციის სქემებისათვის - ფონდები მოზიდება ლატარიის გათამაშებიდან. ეს ფონდი უკვე რამდენიმე წელია კარგად მუშაობს (მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს სამსახურები არცთუ სწრაფად ითვისებენ თანხებს) ახლახან, საბიუჯეტო შეზღუდვების გამო შემცირდა ხელმისაწვდომი ფონდების ოდენობა.
- "8x1000" ფონდი (l. 222/1985 და შემდგომი შესწორებები). თანხების მოზიდვა ხდება საგადასახადო სისტემიდან ფიზიკური პირების პირად შემოსავლებზე დაწესებული საშემოსავლო გადასახადიდან: ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია გადანყვიტოს რა მიზნით დაიხარჯება მის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 0.8%, რომელსაც განკარგავს მინისტრთა საბჭო; ერთ-ერთ მიზნობრივ სფეროს კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს (წარმოდგენილ ალტერნატივებს შორისაა: კატასტროფები, ჰუმანიტარული მისიები, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია); ყოველწლიურად ცხადდება განაცხადების მიღება და შესაბამისი ვადები, განაცხადების კონკრეტული მოთხოვნები და ამოცანები, შინაარსის სტრუქტურა და აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რათა განაცხადმა დააკმაყოფილოს შესარჩევი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაფინანსება შეიძლება გადაეცეს როგორც საჯარო ადმინისტრაციის ორგანოს, ასევე კერძო, არაკომერციულ ორგანიზაციას. რეკვიზიტები და კრიტერიუმები ითვალისწინებს როგორც განმცხადებელი პრეტენდენტის ორგანიზაციულ სტაბილურობას, ასევე მისი საშტატო შემადგენლობის ადეკვატურ განათლებასა და კვალიფიკაციას და საპროექტო განაცხადის ხარისხს.

**8x1000 IRPEF ფონდი (ფინანსდება ფიზიკური პირის პირადი საშემოსავლო გადასახადიდან სახელმწიფოს განკარგულებაში ჰუმანიტარული და/ან კულტურული ღონისძიებებისთვის გადაცემული პროცენტიდან).**

რაც შეეხება განმცხადებლის რეკვიზიტებს, ის ნათლად უნდა ადასტურებდეს: რომ განმცხადებელი არ ყოფილა ნასამართლევი, არ გამოცხადებულა გაკოტრებულად, მოცემულ მომენტამდე იხდის გადასახადებსა და სოციალურ დაზღვევას, მისი დარეგისტრირებიდან გასულია სულ ცოტა სამი წელი, მის წესდებაში განსაზღვრული ამოცანები შეესაბამება დაფინანსების შესახებ კანონში ჩამოყალიბებულ

დებულებებს, ნათლად ჩანს მისი შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობები, მათ შორის საორგანიზაციო სტრუქტურა და პროფესიონალი სამტატო შემადგენლობა.

რაც შეეხება საპროექტო განაცხადის დოკუმენტაციას, ის უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- კონსერვაციისთვის გათვალისწინებული მემკვიდრეობის ობიექტის იდენტიფიკაცია (სახელი და მისამართი);
- საკუთრების ფორმა, ურბანული შეზღუდვების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გეოლოგიური, ლანდშაფტური ან სხვა სახის ზონირება, ამჟამინდელი და სამომავლო გამოყენების ფორმები თუ ერთმანეთისგან განსხვავებულია);
- ინიციატივით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განმარტება;
- კონსერვაციის მდგომარეობისა და შესაძლო საზიანო სიტუაციების აღწერა, რამაც შეიძლება მემკვიდრეობის განადგურება ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოშლა გამოიწვიოს;
- ჩარევის ზომებისა და განხორციელების თითოეული ფაზის დეტალური აღწერა;
- განხორციელების ვადები და სრულყოფილი განრიგი განხორციელების თითოეული ფაზისთვის (მიღებული თანხის პირველი ტრანშის გადარიცხვის დღიდან მოყოლებული).
- კონკრეტული მითითება პროექტის საერთო ღირებულების შესახებ, რომელიც ჩაშლილია სამუშაოების სახეობების ღირებულებების მიხედვით (სამშენებლო სამუშაოები, მონტაჟი, გამაგრება, მისთ. დაპროექტების და სამშენებლო სამუშაოების ხარჯები და მისთ.) რასაც თან უნდა ახლდეს დეტალური წინასწარი ბიუჯეტის პროექტი.
- 8x1000 ფონდიდან ან სხვა რომელიმე ფონდიდან მოთხოვნილიან მიღებული ფინანსური რესურსების ოდენობა;
- 8x1000 ფონდიდან მოთხოვნილი თანხების ჩაშლა წინასწარ განზრახული სამუშაოების მთავარი სახეობების მიხედვით;
- სპეციფიკაცია იმის შესახებ, უწყობს თუ არა ხელს გათვალისწინებული პროექტი სამუშაოების დასრულებას, თუ მხოლოდ მის ფუნქციურ ნაწილს;
- იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მოცემული ობიექტი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგანს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად;
- ნებართვა, რომელიც გაცემულია კულტურის სამინისტროს უფლებამოსილი პერიფერიული სამსახურის მიერ მოცემული პროექტის განხორციელებისთვის;
- დეკლარაცია პროექტის გრაფიკის დონის შესახებ (წინასწარი, საბოლოო, დეტალური / ოპერატიული), რომელსაც თან ახლავს საჭირო გრაფიკული, ტექნიკური და ფინანსური დოკუმენტაცია (პროექტის დოკუმენტაციაში შესატანი დეტალური ინფორმაციის შესახებ იხ. საზოგადოებრივი სამუშაოების კოდექსი).
- მოცემული ობიექტის ისტორიული და მხატვრული განვითარებისა და სახეცვლილების შესახებ ანგარიში;
- დეტალური და განახლებული ფოტო დოკუმენტები, რომელთა მიზანია ობიექტის ზუსტი აღწერა (ინტერიერი და ექსტერიერი), მისი მემკვიდრეობითი ფასეულობა და კონსერვაციის პირობები, ასევე, დაგეგმილი ჩარევის მიზნების განმარტება.

უპირატესობა ენიჭება ისეთ ობიექტებს რომლებიც ერთგვაროვან (ჰომოგენურ) ხასიათს ატარებს (მაგ., საფორტიფიკაციო ნაგებობები, თეატრები, სააბატო და დედათა მონასტრები, ბიბლიოთეკები, არქივები და ა.შ.) ან კომპლექსურ სისტემას განეკუთვნება (მაგ., ვილები და მათი პარკები, სამხატვრო გალერეები თავისი ბიბლიოთეკებით, მისთ.).

კანონი ითვალისწინებს მონიტორინგის წარმოებას: ყოველ ექვს თვეში პროექტის ავტორმა უნდა წარმოადგინოს განახლებული ანგარიში პროექტის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს, აქაც არის შესაძლებლობა, რომ დამატებით 0.5% პირადი საშემოსავლო გადასახადიდან მიმართული იყოს არასამთავრობო ორგანიზაციების კენ, კვლევითი და საქველმოქმედო ორგანიზაციებისაკენ, და ასევე კულტურის სამინისტროსაკენ, რათა ამ უკანასკნელმა განხორციელოს საკონსერვაციო პროექტები.

- ARCUS s.p.a. ფონდები: ფონდების ეს სახეობა იმართება კულტურის სამინისტროსთან არსებული საზოგადოების მიერ. ფონდი ფინანსდება ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან (3% ინფრასტრუქტურის სამინისტროს წლიური ბიუჯეტიდან); ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით რეგულირდება ხსენებული თანხების მოხმარება და განაწილება (დარგთაშორისი ინიციატივა).

ამას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: 1) მთავრობას სურდა განემტკიცებინა აზრი იმის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის "ინფრასტრუქტურის" ნაწილია; და 2) მიმდებარე კულტურული და ლანდშაფტური მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაციის დაკავშირება ინფრასტრუქტურის განახლება/რემონტის სამუშაოებთან (ძირითადად იგულისხმება გზები ან ავტომაგისტრალები, თუმცა შეიძლება სხვა სახის ინფრასტრუქტურაც შეგვხვდეს), როგორც ერთგვარი გამაწონასწორებელი ღონისძიება.

დაფინანსებისას უპირატესობა ენიჭება კომპლექსების რეაბილიტაციისა და ვალორიზაციის პროექტებს. ყოველწლიურად გამოიყენება ახალი დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსების ოდენობას და გახსნილად აცხადებს საპროექტო წინადადებების მიღებას. საპროექტო წინადადების წარსადგენად საჭირო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს: დეტალურ სტრატეგიულ ანგარიშს პროექტის კანონის მოთხოვნებთან შესატყვისობის შესახებ; წარმოდგენილი პროექტის ტექნიკურ და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას ბიუჯეტის პროექტის, თანხების განაწილებისა და პროგრამირების მიხედვით; ტექნიკურ, გრაფიკულ და ფოტო დოკუმენტაციას (ამომწურავი სია წარმოდგენილი იქნება საბოლოო ანგარიშთან ერთად)

ARCUS საზოგადოებას ხშირად აკრიტიკებდნენ პროექტების შერჩევის წესის გამო (პოლიტიკურად მოტივირებული), თუმცა, ჩემი აზრით, დაფინანსების ამ სქემაში არსებობს პოზიტიური ასპექტებიც: პირობების მიხედვით აუცილებელია პროექტის გულდასმით შემუშავება; ფინანსდება არქეოლოგიური ზონების მართვის გეგმები (მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს), საჭიროა რეაბილიტაციისთვის შერჩეული ობიექტის განვითარების გლობალური ხედვის ჩამოყალიბება. ფონდების გაცემა ხდება არა მთლიანად და ერთდროულად არამედ თანმიმდევრული ტრანშების სახით, უკვე მიღებული ტრანშების ხარჯვის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის კვალობაზე. პირველი ტრანშის გადარიცხვა ხდება განხორციელების პირველ ფაზაში (ე.ი. როცა სატენდერო დოკუმენტაცია მზადაა). თანადაფინანსება სასურველია, თუმცა არ არის სავალდებულო.

- მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი (L. 77/2006): ამ კონკრეტული კანონის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

კანონი ადგენს, რომ ნებისმიერი პროექტი რომელიც ითვალისწინებს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვას და კონსერვაციას იტალიაში სარგებლობს პრიორიტეტული სტატუსით სახელმწიფო ფონდიდან დაფინანსების მოთხოვნის დროს. კანონი ასევე გვაცნობს მართვის გეგმის ცნებას, რომელიც მანამდე არ არსებობდა ჩვენს კანონმდებლობაში - არც ურბანული დაგეგმვისა თუ გარემოს დაცვის გეგმებში (გვაქვს პარკების გეგმები, რომლებიც იგივე ზონირების გეგმებს წარმოადგენს).

იტალიაში გენერალურ გეგმას შემდეგნაირად განმარტავენ: გენერალური გეგმა განსაზღვრავს "ჩარევის" პრიორიტეტებს და მასთან დაკავშირებული რეალიზაციის ზომებს, კერძო და საჯარო ფინანსური რესურსების მოსაზიდად განსახორციელებელ

ლონისძიებებს დაპროგრამებთან კოორდინაციის მექანიზმებს, ანდა განხორციელების ინსტრუმენტებს, რომლებიც დამატებით მიზნებს ემსახურება მაგ., ადგილობრივი ტურისტული სისტემებისა (განმარტებას მოგანვლით) და დაცული ტერიტორიების გეგმებს.

სსენებული კანონის თანახმად დაფინანსებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები: წინასწარი კვლევის ჩატარება მართვის გეგმების შესამუშავებლად და მათ გასაახლებლად; კულტურული მხარდაჭერის ღონისძიებები, დასუფთავება და ნარჩენების გატანა, კონტროლისა და უსაფრთხოების სამსახურები, პარკინგის ზონების მოწყობა, მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ალტერნატიული მობილურობის სისტემები, კომუნიკაცია და იტალიის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გავრცელება სკოლებში; მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებთან დაკავშირებული ტრადიციული ღვინის, აგრო-სატყეო-საძოვრებისა და გასტრონომიული მემკვიდრეობისვალორიზაცია, და პროპაგანდა.

განაცხადებისა და მართვის გეგმების შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში არიან ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სამინისტროს წარმომადგენლები (სამ-სამი თითო სამინისტროდან).

პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 10% სავალდებულოა. თანხის გადარიცხვა ხდება პროექტის ფაზების მიმდინარეობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენის შემდეგ (მოქმედებს მონიტორინგის სისტემა: ყოველ ექვს თვეში ივსება მონიტორინგის ფორმა, რომელსაც თან უნდა დაერთოს ტექნიკური და ფინანსური დოკუმენტაცია).

განაცხადების მიღება ცხადდება ყოველწლიურად და დგინდება ბიუჯეტი ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი ღონისძიებისთვის.

**რეკომენდაცია:** თუ გათვალისწინებულია მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ კანონის მიღება, მაშინ პირველ რიგში უნდა მომზადდეს წარსადგენი მემკვიდრეობის სავარაუდო ობიექტების წინასწარი სია და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, რაც უზრუნველყოფს: 1) კვალიფიციური მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციასა და დოკუმენტირებას, მათ დაცვას და კონსერვაციას; 2) პუნქტ 1-ში ხსენებული ობიექტებისათვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფას, და 3) მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში უკვე შესული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ბედის განსაზღვრას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ზოგადი კანონის ერთ-ერთი მუხლი, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების დებულებების აღიარებას ეხება, რათა არ მოხდეს მემკვიდრეობის დაყოფა "ეროვნულ ან ადგილობრივ" და "საერთაშორისო" მემკვიდრეობის ობიექტებად და მათი დაქვემდებარება დაცვის სხვადასხვა სტანდარტების მიმართ. ასეთი მიდგომა საბოლოოდ შეასუსტებს საქართველოში ყველა სახის მემკვიდრეობის დაცვას - შედეგად, შეამცირებს საქართველოს შანსებს უფრო მეტი ობიექტი შეიტანონ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. საჭიროა გარემოს დაცვის შესახებ კანონში განმარტებული მართვის გეგმის ცნების მორგება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზეც - მაგ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონში აღნიშნული მემკვიდრეობის დაცვის ზონების კონსერვაციის გეგმის განვრით; ამ გზით შესაძლებელია მართვის ცნება ბუნებრივი გარემოს კონსერვაციის სფეროდან კულტურული მემკვიდრეობის სფეროზე გავრცელდეს.

**გრანტები და შეღავათიანი სესხები პირდაპირ კულტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან დაცული მემკვიდრეობის მფლობელებისთვის, რომელთაც სურთ აღადგინონ / რეაბილიტაცია ჩაუტარონ ობიექტებს**

- ხარჯების პირდაპირი ანაზღაურებასაკონსერვაციო სამუშაოებისთვის (მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდეგ - შეიძლება ეს გახდეს პრობლემა, თუ პირს არ აქვს შესაბამისი თანხა): თანხის 50%-მდე ოდენობით (როგორც წესი კერძო



მფლობელებისთვის მაქს. 30-40%); ანაზღაურების უფლების მოსაპოვებლად თხოვნა წინასწარ წარედგინება კულტურის სამინისტროს პერიფერიულ (რეგიონულ) სამსახურს. "soprintendenza" შეაფასებს მიღებულ თხოვნას და გასცემს დასტურს კონკრეტული ოდენობის თანხის ანაზღაურებაზე; შესაბამისი შეტყობინება გადაეცემა განმცხადებელს და სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით (ყოველწლიურადმტკიცდება ვადები). როცა დასრულდება საკონსერვაციო სამუშაოები, დგინდება ფაქტიურად შესრულებული ბიუჯეტი და შესრულებული სამუშაოების ხარისხის ტექნიკური შეფასება soprintendenza-ს მიერ, ეს უკანასკნელი გასცემს ცნობას, რომ სამუშაოები სწორად წარიმართა და მიუთითებს ზუსტ თანხას რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება. ყოველწლიურად გამოდის ცირკულარი, რომელიც გვამცნობს მიმდინარე წლისა და მომდევნო წლის ბიუჯეტის ზედა ზღვარს და ასანაზღაურებელი პროექტების პრიორიტეტულ ჩამონათვალს (კრიტერიუმი ძირითადად მოთხოვნის შემოსვლის რიგითობას ეყრდნობა).

- წილი სესხის საპროცენტო განაკვეთის დაფარვაში: ამ შემთხვევაში გრანტი პირდაპირ გადაეცემა ბანკს, რომელმაც სესხი გასცა აღსადგენი დასტური მემკვიდრეობის მფლობელზე ან მესაკუთრეზე. ეს არის სესხის საპროცენტო განაკვეთის სახელმწიფოს ფონდებიდან სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის საშუალება (დამოკიდებულია სესხის საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე).

### **ყველა ტიპის შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მხარდაჭერა**

- შესაძლებელია გადასახადების შემცირება (სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 50%-მდე (მაქს. 96 000 ევროს ფარგლებში), რაც აკლდება საშემოსავლო თანხას, რომელიც გადანაწილდება კვოტებად ათი წლის განმავლობაში. თანხამ შეიძლება შეადგინოს კონკრეტული ღონისძიებებისთვის 65% - მაგ., ენერგო ეფექტურობის გასაზრდელად ჩატარებული სამუშაოებისა და სეისმური მედეგობის გასაუმჯობესებლად (ეს ეხება ყველა ტიპის არსებულ შენობა-ნაგებობას - დასტური მემკვიდრეობისთვის საჭიროა დირექტივების დაცვა).
- რეკომენდაცია: აღნიშნული ღონისძიება მოითხოვს გარკვეულ ადაპტაციას დასტური ან მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობებისთვის; ე.ი. შემოსავლიდან გადასახადის უფრო მაღალი პროცენტით შემცირება, ან უფრო მაღალი ზედა ზღვარი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობებისთვის (ეს უნდა შეეხოს ჩვეულებრივ (მიმდინარე) სარემონტო სამუშაოებსაც და არა მხოლოდ საავარიო რეაბილიტაციასა და რემონტს) ან მოხდეს ნაშენიმემკვიდრეობის კატეგორიზაცია (მაგ. ტრადიციული სასოფლო ნაგებობები, თანამედროვეობამდელი, ან ბეტონის გამოყენებამდე არსებული ტექნოლოგიით აშენებული შენობები, და მისთ.); ასეთი ღონისძიებების დროს ზედმინწევით უნდა იქნას გათვალისწინებული დირექტივის რეკომენდაციები, რათა თავიდან ავიცილოთ უხარისხოდ შესრულებული სამუშაო.

ამ ხელშეწყობით უნდა ისარგებლონ არა მხოლოდ სრული საკუთრების მქონე მფლობელებმა, არამედ ე. წ. „შიშველი“ საკუთრების (proprietà nuda) უფლების მქონეებმაც (იტალიაში საკუთრების უფლება იყოფა ორ სხვადასხვა უფლებად: "შიშველ საკუთრებად" - სარგებლობის უფლების გარეშე, ან მხოლოდ სარგებლობის უფლება, ან სრული მფლობელობა სარგებლობის უფლებით), ასევე "გარე ზედაპირზე" უფლების მქონე პირებმა, დამქირავებლებმა ან მოსარგებლებმა, კოოპერატივის წევრმა მომხმარებლებმა, ინდ. მენარმეებმა (მხოლოდ უძრავი ქონების ფარგლებში, რომელიც არ წარმოადგენს მათ წარმოების საშუალებებს, მაგ. სააქროს ან ქარხნის ნაწილს, რომლისთვისაც სხვაგვარი რეჟიმი მოქმედებს), და კომერციულმა საზოგადოებებმა (მხოლოდ მცირე მასშტაბის და მარტივი სტრუქტურის მქონე).

მემკვიდრეობის ნაშენი ობიექტის გაუმჯობესება ენერგო-ეფექტურობის თვალსაზრისით შეიძლება საკმაოდ საშიში აღმოჩნდეს ისტორიული შენობისთვის, რადგან ამან შეიძლება

გამოინვიოს შენობის ისეთი ფასეული კომპონენტების შეცვლა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ენერგო ეფექტურობის მოთხოვნებს (მაგ., ხის ფანჯრების, ისტორიული ბათქაშის ჩამოცლა საიზოლაციო მასალით შეცვლის მიზნით, ხის მორფოლოგიური შემადგენლობის შეცვლა საიზოლაციო მასალის დამონტაჟების მიზნით და ა.შ.).

იტალიაში ამ სფეროზე არსებულ დიდ დანაშაულს, - რაც სამშენებლო სექტორში ახალი ბაზრების წარმოქმნას უკავშირდება - არ ახლავს შესაბამისი ზოგადი დირექტივები, რომლებიც რეკომენდაციას გაუწევდნენ სათუთჩარევას და შესაბამისობის დაცვას ასწავლიდნენ. არსებობს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი ინიციატივაა და არ ატარებს სამართლებრივად სავალდებულო ხასიათს - ამ კუთხით, ისტორიული მემკვიდრეობის ნაშენ ობიექტებზე და დაცულ ზონებში განახლებადი რესურსებისა და ეკო-ენერგო ეფექტური რესურსების მდგრადი გამოყენებისთვის გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს წინ უნდა უძღოდეს ნათლად ჩამოყალიბებული დირექტივები და ამ დირექტივებისა და რეკომენდაციების შესრულების მტკიცე ვალდებულება წამახალისებელ სისტემასთან ერთად, რაც თავიდან აგვაცილებს ასეთი ჩარევების უკონტროლო ხასიათს.

დანართები: MIBAC დირექტივები ქარის ენერგო-გენერატორებისათვის (დოკ.4)

ტოსკანის რეგიონის დირექტივები ქარის ენერგო-გენერატორებისათვის (დოკ.5)

## დღგ-ს შემცირება

იტალიაში, დღგ-ს შემცირება ეხება არსებულ შენობებზე ყველა სახის გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს, მიუხედავად იმისა დაცულია თუ არა ეს შენობები რაიმე სტატუსით. დღგ მცირდება 22% დან 10%-მდე (თავიდან იყო 4%), მიუხედავად ამისა, ეს შემცირება არ ეხება არქეოლოგიურ კვლევებსა და მუშაობას. ჩემი აზრით, ასეთი შემცირება უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივ სარემონტო სამუშაოებზეც, რითაც სტიმული მიეცემა ობიექტებისა და შენობების კომპონენტების პერიოდულ შეკეთებას.

რეკომენდაცია: დღგ-დან გათავისუფლება უნდა შეეხოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ კონსერვაციის სამუშაოებს დაცული მემკვიდრეობის ობიექტებზე და არა მხოლოდ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ობიექტებზე.

## სპონსორობა

ურბანულ სექტორში არსებობს სხვა დამატებითი ფინანსური პროგრამებიც, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ურბანული მემკვიდრეობის რეაბილიტაციაში. ხშირად, ურბანულ ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის ან ფასეული ურბანული ზონებისთვის შესაბამისი დირექტივების არ არსებობა იწვევს ობიექტებისა და ზონების ქსოვილის პირველსახის დაკარგვას, და ამისთვის, შედეგის მიუხედავად, მაინც ხდება თანხების გადახდა (კონსერვაციის / რეაბილიტაციის ხარისხის მიუხედავად). ამ ღონისძიებების დეტალური მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება საბოლოო ანგარიშთან ერთად.

თბილისი, 31 იანვარი, 2014

გენუა, 1 მარტი, 2014

Luisa De Marco